შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი 13.11.18
4
შემოსვლის დრო
შემოსვლის № 27206002
ფურცლების რაოდენობა 12 + 03 + 03

საქმე №3/5265-18

ა(ა)იპ - „მწვანე ალტერნატივა“
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

თამარ მეშველიანი
მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე: *შენიშვნა-1*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელი, გვარი (სახელწოდება)

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ.N6
პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2*

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

ნატო მაჭარაშვილი
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ.№6
პირადი ნომერი ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

598598577

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

ნატო მაჭარაშვილი
სახელი, გვარი

577080819
სახლის ტელ. | მობილური

Nato.Macharashvili@moa.gov.ge
ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, ავრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გავრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე:forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 9878/01
"12" 11 2018
10/2 ფ.
+ 03 +

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.gc; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

შენიშვნა-8

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

№ 9870/10
"12" 11 2018
10/2 ფ.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?
დიახ ☐ რის საფუძველზე?
არა ☒

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?
დიახ ☐ რის საფუძველზე?
არა ☒

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?
დიახ ☐ რომელი საფუძვლით?
არა ☒

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?
დიახ ☐ რომელი საფუძვლით?
არა ☒

შენიშვნა-19

მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

არ ვეთანხმებით მოსარჩელის მოთხოვნას ბათილად იქნეს ცნობილი „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის საავტომობილო გზის მე-8 კმ-რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი-ქვაციხე-კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმზე, მდ.ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელი"-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 აპრილის N2-292 ბრძანება.

შესაგებელი მოთხოვნის საძართლებრივ საფუძვლებზე:

მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნაში უთითებს, რომ მინისტრის 2018 წლის N2-292 ბრძანება გამოცემულ იქნა კანონმდებლობის უხეში დარღვევით, კერძოდ, სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მოთხოვნათა დაცვის გარეშე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. აღნიშნულს არ ვეთანხმებით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლები, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანომდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელთან მიმართებაში უნდა დადგინდეს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წრე, რომელიც ქმნის ზემოაღნიშნული მუხლის შემადგენლობას - გასაჩივრებული აქტის კანონშეუსაბამობას ან მისი მომზადება-გამოცემის წესების დარღვევას.

იურიდიულ დოქტრინასა და პრაქტიკაში დადგენილია ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის კანონიერების განსაზღვრის კრიტერიუმები: ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის, როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დასაშვებობა და

№ 9878/01
"12" 11 2018
10/2 ფ.

ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერება. წინამდებარე კრიტერიუმებიდან რომელიმე მათგანის დაუცველობა კი, განაპირობებს მის უკანონობას და შესაბამისად იწვევს აქტის ბათილობასაც.

რაც შეეხება აქტის ბათილობის მეორე საფუძველს, თუ რა ითვლება აქტის მომზადების და გამოცემის კანონით დადეგენილი მოთხოვნების დარღვევად, კანონი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით განმარტავს, რომ აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

მოსარჩელე მხარე ვერ ასაბუთებს, თუ რომელი ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძველი იქნა დარღვეული და შესაბამისად, არასწორ შეფასებას აძლევს ფაქტებსაც. კერძოდ, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" მითითებით, სამინისტრომ დაარღვია „გარემოსდაცვითი შეფასების" კოდექსით დადგენილი მოთხოვნები და უსაფუძვლოდ იხელმძღვანელა კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილით.

,,გარემოსდაცვითი შეფასების" კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით. მოსარჩელე მხარე თავის მსჯელობას შეცდომით აფუძნებს და ამყარებს „გარემოსდაცვითი შეფასების" კოდექსზე და არასწორად ახდენს მის მოშველიებას სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი დასაბუთებისთვის, კერძოდ:

მოსარჩელე მიუთითებს, რომ პროექტს უნდა გაევლო 2018 წლის პირველი იანვრის შემდგომ მოქმედი „გარემოსდაცვითი შეფასების" კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა. ამ კოდექსის მიხედვით, მართალია, განსაზღვრულია სკოპინგის პროცედურა, მაგრამ აღნიშნული დათქმა ვერ გავრცელდებოდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შემთხვევაზე, ვინაიდან კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია 2018 წლის პირველ იანვრამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით, იხელმძღვანელოს 2018 წლის პირველ იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით და არა თვითონ „გარემოსდაცვითი შეფასების" კოდექსის დათქმებით. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბულის საავტომობილო გზის მე-8 კმ-რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი-ქვაციხე-კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმზე, მდ.ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელი-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი" წარმოადგინა 2017 წლის 12 დეკემბერს (იხ. წერილი N2-13/14472). შესაბამისად, აღნიშნულ პროექტზე ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2017 წლის 12 დეკემბერს და არა 2018 წლის 27 მარტს, როგორც ამას მოსარჩელე მხარე უთითებს თავის პირველ ფაქტობრივ გარემოებაში. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოება წარიმართა 2018 წლის პირველ იანვრამდე არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლითაც საერთოდ არ იყო განსაზღვრული „გარემოსდაცვითი შეფასების" კოდექსით დადგენილი სკოპინგის პროცედურა.

ასევე უსაფუძვლოა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო არა 2017 წლის 12 დეკემბერს, არამედ 2018 წლის 27 მარტს. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2017 წლის 12 დეკემბერს საჯარო განხილვის მიზნით წარმოადგინა

№ 9878/01
"12" 11 2018
10/2 ფ.
03

.პროექტი, რაც გახდა სამინისტროში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი. .სწორედ 12 დეკემბერს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, შენიშვნებისა და წინადადებების მომზადების მიზნით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიში, სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტმა განსახილველად გადააგზავნა სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოში (იხ. 15.12.2017, N10206 წერილი), სსიპ - დაცული ტერიტორიების საგენტოში (იხ. 15.12.2017; N10204 წერილი), სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტოსა (იხ. 15.12.2017; N10205 წერილი) და სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტში (იხ. 25.12.2017; N3913 წერილი). შენიშვნები და წინადადებები წარმოდგენილ იქნა შესაბამისად ყველა ზემოაღნიშნული სიპისგან და დეპარტამენტისგან (იხ. წერილები: 26.01.2018 - N21/402; 19.12.2017 - N3782; 20.12.2017- N06/30572; 26.01.2018 N367). წინამდებარე შენიშვნები კი, გადაგზავნილ იქნა საქმიანობის განმახორციელებელთან 2018 წლის პირველი თებერვლის N981/01 წერილით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ მოსარჩელის მიეს იმის მტკიცება, რომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2018 წლის პირველი იანვრის შემდგომ და არა 2017 წელს, არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი.

ასევე უსაფუძვლოა მხარის აპელირება „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლით დადგენილი მოქალაქის უფლებების დარღვევაზე, მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების განხილვისა და მიღების პროცესში, ისევე როგორც „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის დებულებების დარღვევაზე. დაუსაბუთებელია, მხარის განცხადება აღნიშნული მოთხოვნების დარღვევაზე, მაშინ როდესაც, საქმის მასალებშია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2017 წლის 12 დეკემბრის N2-13/14472 წერილი საჯარო განხილვის დაწყების თაობაზე, რომლის საფუძველზეც 2018 წლის 8 თებერვალს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ დაიგეგმა საჯარო განხილვა ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულ იქნა „საქართველოს რესპუბლიკას" 2017 წლის 22 დეკემბრის ნომერში. 2017 წლის 14 დეკემბერს საჯარო განხილვის თაობაზე ასევე განთავსდა ინფორმაცია სამინისტროს ოფიციალურ ვებ.გვერდზეც. 2018 წლის 8 თებერვალს გამართულ საჯარო განხილვას ესწრებოდა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელმაც დააფიქსირა შენიშვნები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და რომლებიც მოგვიანებით აისახა კიდეც საჯარო განხილვის ოქმში. (იხ. 2018 წლის 21 თებერვლის ოქმი). შესაბამისად, დაცულ იქნა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საქმიანობის განმახორციელებელს ევალება გზშ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენამდე მოაწყოს მისი საჯარო განხილვა, ასევე გამოაქვეყნოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და საჯარო განხილვის შესახებ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გაუგებარია მხარის აპელირება იმის თაობაზე, რომ საზოგადოებას არ მიეცა პროექტის განხილვაში მონაწილეობის მიღების საშუალება.

დაუსაბუთებელია ასევე ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" განცხადება იმის შესახებ, რომ საქმეში არ მოიპოვება ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების დამადასტურებელი მტკიცებულება, მაშინ როდესაც საქმეშია ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 აპრილის N2-232 ბრძანების შესაბამისად შექმნილი საექსპერტო კომისიის დასკვნა, რომელიც შემუშავებულ იქნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და განხილვის საფუძველზე.

№ 9878/01
"12" 11 2018
10/2 ფ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გაუგებარია ასევე მოსარჩელე მხარის აპელირება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22.10 მუხლის მოთხოვნების დარღვევაზე, მასზე მითითება არის არარელევანტური და მსჯელობა მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებას.

წინამდებარე განმარტებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 აპრილის 2-292 ბრძანების გამოცემისას არ დარღვეულა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და შესაბამისად, არ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მე-60 პრიმა მუხლით გათვალისწინებული აქტის ბათილობის არცერთი საფუძველი.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

სასარჩელო მოთხოვნა დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, შესაბამისად, გთხოვთ, მოსარჩელეს უარი ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 9878/01
"12" 11 2018
10/2 ფ.
+ 03 +

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

გთხოვთ, მოცემული საქმის განხილვისას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩააბათ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

არგუმენტაცია:

გასაჩივრებული აქტი ეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინტერესებს, არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა იქნება შესაძლებელი.

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარგიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა ☒

№ 9878/01
"12" 11 2018
10/2 სმ.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ ☐ მორიგების პირობები:

არა ☒ რადგან

შენიშვნა-30

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 *შენიშვნა-32*

დანართი 1: „ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 მარტის №2-175 ბრძანება - 2 ფურცელი.
დანართი 2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები წარმოდგენილი DVD დისკზე, 3 ეგზემპლარად.
ფურცლების საერთო რაოდენობა: 12

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 98789
12 / 11 / 2018
10 / 2 / 8
03

• თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?
• **დიახ** ☐
არა ☒ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
ი სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?
დიახ ☐
არა ☒ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?
ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?
დიახ ☐
არა ☒ რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

ნინო თანდილაშვილი — 09/11/2018 წ.

ხელმოწერა — ხელმომწერის სახელი, გვარი — შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

№ 9878/01 "12" 11 2018 10/2 03

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-175

22/03/2018 ქ. თბილისი

ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის N112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ნინო თანდილაშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება:

ა) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინტერესების წარდგენისა და დაცვის მიზნით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში, მათ შორის: ხელი

მოაწეროს განცხადებებსა და მინდობილობებზე, აღძრას სარჩელი, ცნოს სარჩელი, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, მოურიგდეს მხარეს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად;
ბ) პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით აღჭურვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის არყოფნის შემთხვევაში, მიენიჭოს საქართველოს გარემო დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს ნოდარ კერესელიძეს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნ. კერესელიძისთვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 18 ნოემბრის N2-229 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი